# BPN Georgia - ბიზნეს ასოციაციის დაფუძნება

2022-07-12 14:55:36

9 ივლისს BPN Georgia - მ ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის აქტიურ მონაწილე მეწარმეებს უმასპინძლა. შეხვედრაზე ოფიციალურად ჩაეყარა საფუძველიBPN Georgia-ს ბიზნეს ასოციაციის დაფუძნებას, რომლის მიზანიცარისდააკავშიროს BPN Georgia-ს პროგრამის მონაწილე სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მათი საქმიანობის განვითარება-გაფართოების მიზნით და ამ გზით წვლილი შეიტანოს ქვეყანაშიეკონომიკური ფონის გაუმჯობესებაში. შეხვედრაზე თითოეულ მეწარმეს საშუალება ჰქონდასაკუთარი კომპანია დამსწრე საზოგადოებისთვის წარედგინა და მოკლედ ესაუბრა საკუთარი პროდუქტების თუ სერვისებისკონკურენტულ უპირატესობაზედა განმასხვავებელ ნიშანზე. შეხვედრისას ასევე მოეწყო გამოფენა-გაყიდვა, რათა დამსწრეებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ადგილზევეგაეცნოთ თანამონაწილეების პროდუქტები. მონაწილეებმა ერთმანეთს საინტერესო საქმიანი შეთავაზებები გაუკეთეს, რაც მომავალში აუცილებლად გახდება მათ შორის სასარგებლო და მყარი ურთიერთანამშრომლობის საფუძველი.

BPN Georgia-სდიდი სამომავლო გეგმები აქვს

Boeing-ის სამგზავრო თვითმფრინავების გაყიდვები მეორე კვარტალში 53%-ით გაიზარდა
07-13 12:30

ირაკლი ქარსელაძე -
რიკოთის ახალი გზის რამდენიმე მონაკვეთი წელს გაიხსნება
07-13 12:00

საქართველოს ბანკთან პარტნიორობით ვოლტი ახალ B2B სერვისს -Wolt Drive-ს ნერგავს
07-13 11:47

X

Follow

და იმ გრძელვადიანი პროგრამის პარალელურად, რომელიც უკვე 6 წელიწადზე მეტია ჩვენს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება,ფონდმა მიზნად დაისახა ახლა უკვე ბიზნეს ასოციაციის საქმიანობის ფარგლებში არაერთი მსგავსი ღონისძიება გამართოს, რათა ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალება მიეცეთ დაამყარონ საჭირო კონტაქტები, ისაუბრონ საერთო გამოწვევებზე, მათი გადაჭრის გზებზე, წვდომა ჰქონდეთ ქართველი და შვეიცარიიდან მოწვეული ექსპერტების ვორქშოპებსა თუ მასტერკლასებზე. საჭიროების შემთხვევაში BPN Georgia იზრუნებს ასოციაციის წევრი მეწარმე სუბიექტების ტექნიკურ მხარდაჭერაზე შესაბამისი ექსპერტის მოწვევის გზით და კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზემკაფიოდ განსაზღვრული მიზნით. ფონდი იზრუნებს დაამყაროს საჭირო კონტაქტი შვეიცარიელ დარგის ექსპერტთან, უზრუნველყოს მისი საქართველოში ჩამოსვლა და ადგილზე კონკრეტული ვადით მისი მხარდაჭერით სარგელობა.

BPN Georgia მადლობას უხდის და წარმატებას უსურვებს თითოეულ მონაწილეს, რომელიც სიხარულით შეუერთდაამ ინიციატივას და მონაწილეობა მიიღო ბიზნეს ასოციაციის დაფუძნების ღონისძიებაში.







გერმანიის მთავრობა უკრაინისთვის გადაცემული შეიარაღების სიას აქვეყნებს
07-13 11:30



ლიეტუვის პრეზიდენტი მოუწოდებს დასავლურ ქვეყნებს, რუსეთთან ეკონომიკური და ენერგეტიკული კავშირები გაწყვიტონ
07-13 11:00



მუნიციპალურმა ინსპექციამ ე.წ. აფრიკის დასახლებაში რამდენიმე უნებართვო მშენებლობის დემონტაჟი განახორციელა
07-13 10:30



ხაშურის მერია: სურამის გრგ-ს დამტკიცებამ კურორტის საინვესტიცო მიმზიდველობა გაზარდა
07-13 10:00



ბრაზილია რუსეთისგან დიზელის შეძენას გეგმავს
07-13 09:30







შემოუერთდიBPN Georgia -ს პროგრამას, გახდი ბიზნეს ასოციაციის წევრი და შენც მიიღე მონაწილეობა საკუთარი ბიზნესის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში!

ერთად ძლიერი მეწარმეობისთვის საქართველოში !

BPN Georgia - https://bpngeorgia.ge/home პროგრამა - https://bpngeorgia.ge/home/participation/BPN- programme

(R)

თეგები: BPN Georgia